

**2008 წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს ომში და 2004 წლის აგვისტოში, შიდა ქართლში მიმდინარე საბრძოლო ოპერაციების და სამშვიდობო ოპერაციების დროს გარდაცვლილ რუსთაველ ჯარისკაცთა ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა**

**მუხლი 1. პროგრამის მიზანი**

1.წინამდებარე პროგრამა მიზნად ისახავს 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომში, 2004 წლის აგვისტოს შიდა ქართლში ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მიმდინარე საბრძოლო ოპერაციების, აგრეთვე საქართველოს შეიარაღებული ძალების სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობისას საბრძოლო მოქმედებების დროს დაღუპული მებრძოლების ოჯახების ერთჯერად მატერიალურ დახმარებას, რომლებიც ცხოვრობენ და ქალაქ რუსთავში რეგისტრირებულნი არიან განცხადებით მომართვამდე უწყვეტად არანაკლებ 2 (ორი) წლის განმავლობაში (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ). თითოეული დაღუპული მებრძოლის ოჯახისთვის 500,00 (ხუთასი ლარი და 00 თეთრი) ლარის ოდენობით.

2.პროგრამით გათვალისწინებულია 11 (თერთმეტი) ოჯახის მატერიალური დახმარება.

3.გამონაკლისი ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციასთან დაკავშირებით ვრცელდება იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირებზე, რომელთაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ - ქალაქი რუსთავი.

**მუხლი 2. პროგრამის განხორციელების ვადა**

პროგრამის განხორციელების ვადა განისაზღვრება 2018 წლის 20 ივლისიდან 2018 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით.

**მუხლი 3. განხორციელების მექანიზმები**

1.ამ პროგრამით გათვალისწინებული დახმარების მისაღებად გარდაცვლილი მებრძოლის ოჯახის სრულწლოვანმა წევრმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- ა)განცხადება ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის სახელზე;
- ბ)განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- გ)გარდაცვლილთან ნათესაური კავშირის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- დ)სსიპ ვეტერანების სახელმწიფო სამსახურის მიერ გაცემული ვეტერანის მოწმობის ასლი, ან სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი, გაცემული შესაბამისი უწყების მიერ;
- ე)საბანკო ანგარიში დადასტურებული ბანკის ბეჭდით (დედანი).

**მუხლი 5. პროგრამის ბიუჯეტი**

პროგრამის ბიუჯეტია 5 500,00 (ხუთი ათას ხუთასი ლარი და 00 თეთრი) ლარი. პროგრამის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს ადგილობრივი ბიუჯეტი, რომელიც კვარტალურად გადანაწილებულია შემდეგნაირად:

ბიუჯეტი	5 500,00 ლარი
I კვარტალი	0 ლარი
II კვარტალი	0 ლარი
III კვარტალი	5 500,00 ლარი
IV კვარტალი	0 ლარი

#### **მუხლი 6. პროგრამის შედეგი**

2008 წლის აგვისტოში, რუსეთ-საქართველოს ომში და 2004 წლის აგვისტოში, შიდა ქართლში, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მიმდინარე საბრძოლო ოპერაციების და სამშვიდობო ოპერაციების დროს დაღუპული მებრძოლების ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები (რეგისტრირებული) ოჯახების მატერიალური დახმარება.

#### **მუხლი 7. პროგრამის შემდგენი და მის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სამსახური**

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური.

#### **ნინო ქვირია**

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის  
პირველადი სტრუქტურული ერთეულის  
ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური  
მომსახურების სამსახურის ხელმძღვანელი